

უსაფრთხო მართვისა და
პირველადი სამედიცინო დახმარების
საფუძვლები



უსაფრთხო მართვისა და
პირველადი სამედიცინო დახმარების
საფუძვლები

2018



99%

უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევით არის გამოწვეული

უსაფრთხო მართვა



რაბომ

“უსაფრთხო მართვა”?

ყოველწლიურად მსოფლიოში მილიონობით საგზაო შემთხვევა ხდება და მილიონობით ადამიანი იღუპება

აქედან 99% მძღოლების მიერ უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევით არის გამოწვეული



1

პერსონალური მომზადება

- ◆ დაგეგმეთ მარშრუტი წინასწარ
- ◆ მოერიდეთ მართვას, როდესაც ხართ დაღლილი
- ◆ შეამოწმეთ მეტეოროლოგიური პირობები თქვენს მარშრუტზე
- ◆ ჩაიცვით სეზონის შესაბამისად
- ◆ მოემზადეთ მართვისთვის მენტალურად - მოახდინეთ სრული კონცენტრაცია

2

მზავრობის დასაწყისი

- ◆ დარწმუნდით, რომ ნაგავმზიდი მანქანა ტექნიკურად გამართულია, გამოიყენეთ საგანგებოდ მომზადებული ტრანსპორტის შემონმების კითხვარი
- ◆ შემოუარეთ ავტომანქანას 360°-ით. დარწმუნდით, რომ არ ჟონავს სითხეები, არ არის არანაირი დაბრკოლება გარშემო; საბურავები არ არის დაშვებული; მანქანის მინები, სანათები და სხვა სტრუქტურული კომპონენტები მთელია
- ◆ ახსენით ავტომანქანის კაპოტი, შეამონმეთ, რომ სითხეები (ძრავის ზეთი, ჰიდრავლიკის სითხე, რადიატორის სითხე, მინის სანმენდი სითხე და ა.შ.) სათანადო დონეზეა; შეამონმეთ მილები, დარწმუნდით, რომ არ არის შელახული მისი სტრუქტურა; შეამონმეთ ძრავის ღვედი
- ◆ შეამონმეთ, რომ ყველა უსაფრთხოების ხელსაწყო ადგილზეა - ცეცხლმაქრი, პირველადი დახმარების ყუთი, ჰაერის ტუმბო, უსაფრთხოების სამკუთხედი, სათადარიგო საბურავი, აწმე მექანიზმი საბურავის გამოსაცვლელად და ა.შ.
- ◆ მოთავსდით მძღოლის სავარძელში, მოირგეთ სარკეები, სავარძელი და საჭე
- ◆ შეამონმეთ ავტომანქანის სისტემები (სალონში არსებული სენსორები)
- ◆ დარწმუნდით, რომ გადაცემათა კოლოფი ნეიტრალურ მდგომარეობაშია და ხელის მუხრუჭი ჩართულია
- ◆ შეიკარით უსაფრთხოების ღვედი
- ◆ დაქოქეთ ავტომობილი
- ◆ ჩართეთ ახლო მაშუქები



პირადი დამცავი აღჭურვილობა

- ◆ ჩაიცვით სამუშაო კომბინიზონი, ამრეკლი ლენტებით
- ◆ გამოიყენეთ რეზინის, მიკრობებისგან დამცავი ხელთათმანი
- ◆ ჩაიცვით სპეციალური უსაფრთხოების ფეხსაცმელი (დამცავი მეტალით)
- ◆ ტოქსიკურ ნივთიერებებთან მუშაობის შემთხვევაში გამოიყენეთ სასუნთქი გზების დამცავი საშუალებები (ნიღბები)
- ◆ დაბინძურებული ტანსაცმლით არ მიიღოთ არანაირი საკვები



ავტომობილის მართვისას - უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა!

- ◆ მიაქციეთ ყურადღება მაღალი სიჩქარით მოძრავ ან დაბნეულ მძღოლებს (ივარაუდეთ, რომ ისინი ნებისმიერ დროს დაკარგავენ კონტროლს)
- ◆ მოახდინეთ რეაგირება საფრთხეებზე წინასწარ, რომ არ მოგიწიოთ საფრთხის თავიდან არიდება ბოლო მომენტში და დროულად გაფრთხილდნენ გარშემო მყოფები
- ◆ დამუხრუჭებამდე შეამოწმეთ სარკეები და უკან მომავალი ავტომობილები
- ◆ მზად იყავით გზაჯვარედინზე შუენიშნის ფერის შეცვლისთვის (მძღოლმა შეიძლება ვერ მოასწროს რეაგირება და გაიაროს წითელ შუქზე)
- ◆ დაემორჩილეთ ყველა საგზაო ნიშანს და სიჩქარის შემზღუდველ მანიშნებლებს



ტელემატიკა

- ◆ ყველანაირი ტელემატიკური საშუალებების გამოყენება სრულიად აკრძალულია მართვის დროს
- ◆ მანქანის ტელემატიკური სისტემებია:
 - სანავიგაციო სისტემები
 - TV-Video
 - საგზაო კომპიუტერი
 - მობილური ტელეფონი
 - პორტაბელური მონწყობილობები (პლანშეტები) და ა.შ.



ფეხით მოსიარულეები

- ◆ 10 მეტრიანი გზის გადასაკვეთად ფეხით მოსიარულეებს სჭირდებათ 5 წამი
- ◆ არ დაელოდოთ ფეხით მოსიარულეების აჩქარებას, თქვენ შეანელეთ!





ვინ არის დადლილობის რისკის ქვეშ?

- ◆ ცვლაში მომუშავე მძღოლები
- ◆ სამუშაო ცვლის შემდეგ სახლში მანქანით მიმავალი მძღოლები
- ◆ სატვირთო ავტომანქანის მძღოლები
- ◆ გრძელ მანძილებზე მოძრავი ავტომანქანების მძღოლები (ტრაილერები)
- ◆ ასაკოვანი მძღოლები
- ◆ მძღოლები, რომლებიც იღებენ მოდუნებისა და მოთენთვის უკუჩვენების მქონე პრეპარატებს



უკუსვლით პარკირება

- ◆ ყოველთვის გააჩერეთ ნაგავმზიდი მანქანა უკუსვლით
- ◆ ავტომანქანა უნდა იდგეს პირით გასასვლელისკენ
- ◆ უკუსვლით პარკირებისას გამოიყენეთ დამხმარე პირი
- ◆ თუ მართო ხართ, გადმოდით ავტომანქანიდან და შეამოწმეთ პარკირების ადგილი



ალკოჰოლი და მავნე ნივთიერებები

- ◆ ალკოჰოლის მიღება სამუშაო საათებში სასტიკად აკრძალულია
- ◆ თამბაქოს მოწევა მანქანაში სასტიკად აკრძალულია
- ◆ მავნე ნივთიერებების (ნარკოტიკების) მოხმარება სასტიკად აკრძალულია
- ◆ თუ თქვენ იღებთ ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს, გაითვალისწინეთ ამ საშუალებების უკუჩვენებები, რადგან მათ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედონ თქვენს შრომისუნარიანობაზე. ასეთი მედიკამენტების მიღების შემთხვევაში აცნობეთ თქვენს ხელმძღვანელს





სახიფათო, ჭიმიური ნივთიერებები

- ◆ სახიფათო ნივთიერებების (აზბესტი, ტყვია, ფლუოროცენტრული ნათურები, ვერცხლისწყალი და მისი მტვერი) აღმოჩენის შემთხვევაში, იმოქმედეთ შინაგანანგის თანახმად და მოახდინეთ შეტყობინება შესაბამის პირთან



ქმედება ავარიის შემთხვევაში

- ◆ პირველ რიგში, შეინარჩუნეთ სიმშვიდე
- ◆ დარწმუნდით, რომ არავინაა დაშავებული. დაზიანებების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დარეკეთ 112-ში და გამოიძახეთ სამაშველო ეკიპაჟი
- ◆ ჩაიცვით ამრეკლი ჟილეტი
- ◆ დადგით ამრეკლები მანქანის ორივე მხარეს
- ◆ არ დარჩეთ მანქანაში, გადმოდით და გაჩერდით ავარიის შემთხვევიდან უსაფრთხო მანძილზე
- ◆ დარეკეთ კომპანიაში და შეატყობინეთ ავარიის შესახებ
- ◆ შეავსეთ „ინციდენტის ანგარიშგების ფორმა“ (შინაგანანგის მიხედვით)

გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!



პირველადი
სამედიცინო
დახმარება





პირველადი სამედიცინო დახმარება

რა არის და რატომ უნდა ვიცოდეთ პირველადი სამედიცინო დახმარება?

პირველადი სამედიცინო დახმარება არის უეცრად განვითარებული დაავადების ან ტრავმის დროს აღმოჩენილი დახმარება კვალიფიციური მაშველის მოსვლამდე. ანუ, ეს არის დახმარება კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც ყოველწუთს და წამს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის სიცოცხლის გადასარჩენად!



პირველადი სამედიცინო დახმარება

მისი ცოდნა აუცილებელია თითოეული ადამიანისათვის, რადგან:

- ◆ ყოველთვის ვერ ხერხდება კვალიფიციური მაშველის დროული მოსვლა
- ◆ არავინაა დაზღვეული და ნებისმიერს, ნებისმიერ დროს შეიძლება უეცრად განუვითარდეს დაავადება ან ტრავმა
- ◆ პირველადი სამედიცინო დახმარების ძირითადი ელემენტების ცოდნითა და მარტივი მანევრით შეგვიძლია შევუნარჩუნოთ დაზარალებულს სიცოცხლე
- ◆ არასწორმა მანევრმა შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის მდგომარეობის გაუარესება
- ◆ თავის ტვინს უფანგბადო რეჟიმში ფუნქციების შესრულება შეუძლია მაქსიმუმ 4-6 წუთის განმავლობაში






გულ-ფილტვის რეანიმაცია

გულის უეცარი გაჩერება წარმოადგენს სიკვდილიანობის წამყვან მიზეზს მსოფლიოში. თუ გვეცოდინება როგორ შევუნარჩუნოთ ადამიანს სიცოცხლე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე, ჩვენ დავიცავთ უამრავ ადამიანს ნაადრევ სიკვდილისგან.

ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმი (DRCABD):

- ◆ D - Danger (საშიშროება) - დაზარებულთან უსაფრთხო მიახლოება (უსაფრთხო გარემოს შექმნა)
- ◆ R - Response (ცნობიერება) - დაზარალებულის ცნობიერების შემოწმება
- ◆ C - Circulation (ცირკულაცია) - პულსის შემოწმება საძილე არტერიაზე (5-10 წმ). პულსის არარსებობის შემთხვევაში გულმკერდის კომპრესიები (ზენოლა) 30-ჯერ (ნამში 2-ჯერ)
- ◆ A - Airway (სასუნთქი გზები) - კომპრესიების შემდეგ სასუნთქი გზების გახსნა (თავის უკან გადაწევა და ნიკაპის წამოწევა) და სუნთქვის შემოწმება (5-10 წმ)
- ◆ B - Breathing (სუნთქვა) - 2 ჩაბერვა პირით პირში, თითოეული არანაკლებ 1 წმ. ზენოლისა, ჩაბერვის თანაფარდობა უნდა იყოს 30/2
- ◆ D - Defibrillation (დეფიბრილაცია) - ელექტროშოკი სათანადო ხელსაწყოს არსებობის შემთხვევაში





დამწვრობა

დამწვრობა შეიძლება განვითარდეს

- ◆ თერმული ფაქტორის (ცხელი საგნების ან ორთქლის) ზემოქმედების შედეგად (თერმული დამწვრობა)
- ◆ კანზე ქიმიური ნივთიერების მოხვედრის დროს (ქიმიური დამწვრობა)
- ◆ კანზე დენის ზემოქმედების შედეგად (ელექტრული დამწვრობა)

დამწვრობის დროს:

- ◆ შეამოწმეთ დაზარალებულის ცნობიერება
- ◆ ჩამოიხსნეთ დაზარალებული არე წყლით: თერმული, ელექტრული დამწვრობის დროს სულ მცირე 10 წუთის განმავლობაში, ქიმიური დამწვრობის დროს - კი 30 წუთის განმავლობაში. თუ ქიმიური ნივთიერება ფხვნილის სახითაა, ჯერ მექანიკურად მოაშორეთ და შემდეგ ჩამოიხსნეთ
- ◆ არ შეიძლება დამწვარ მიდამოზე ყინულის დადება, ლოსიონის, სპირტის ან სხვა საშუალებების გამოყენება
- ◆ არ იხმართოთ ჩამოსაბანად მანეიტრალიზებელი ხსნარები





ძვალ-კუნთოვანი სისტემის ტრავმა

ტრავმის დროს შეიძლება განვითარდეს ძვალ-კუნთოვანი სისტემის სხვადასხვა დაზიანება:

- ◆ ძვლის მოტეხილობა - მისი მთლიანობის დარღვევა
- ◆ ძვლის ამოვარდნილობა - სასახსრე ფოსოდან სასახსრე თავის ამოვარდნა
- ◆ რბილი ქსოვილების ტრავმა - კუნთების ან მყესების დაზიანება
- ◆ ჭრილობა/სისხლდენა

მოთხილობის დროს:

- ◆ გაუკეთეთ დაზარალებულს იმობილიზაცია (ფიქსაცია, უძრაობის შენარჩუნება)
- ◆ დაადეთ არტაშანი, ისე რომ დაზიანებული არე დაფიქსირდეს მინიმუმ ორი მეზობელი სახსრის ჩართვით
- ◆ არტაშანი უკეთესია დაადოთ გარედან, ტანსაცმელზე და მისცეთ მას დეფორმირებული კიდურის ფორმა. სავლელე პირობებში შეიძლება გამოიყენოთ ფიცარი, ხის ტოტი, ქამარი, თოკი და სხვა

იმპროვიზირებული საშუალება

- ◆ უკიდურეს შემთხვევაში დაზიანებული ფეხი დააფიქსირეთ ჯანმრთელ ფეხზე, ხოლო ზედა კიდური ტანზე, ნახვევის საშუალებით

ამოვარდნილობის დროს მოიქცით ისე, როგორც მოთხილობის დროს.

ჭრილობის/სისხლდენის დროს:

- ◆ დაიცავით პირადი უსაფრთხოება! თუ თქვენ სხეულზე გაქვთ ჭრილობები (ნაკანრი, მცირე ზომის ღია ჭრილობა) სასურველია ისინი დაიფაროს წყალგაუმტარი საფენით მანამ, სანამ თქვენ დაიწყებდეთ დახმარების განევას. თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ რეზინის ერთჯერადი ხელთათმანი
- ◆ ჩამობანეთ ჭრილობა (მათ შორის ნაკბენი ჭრილობა) სარეცხი საპნითა და გამდინარე სუფთა წყლით
- ◆ არ ამოიღოთ უცხო სხეული ჭრილობიდან. უცხო სხეულის ამოღებისას, შეიძლება გაძლიერდეს სისხლდენა ან



გალრმავდეს დაზიანება

- ◆ არ იხმართ სამედიცინო სპირტი და იოდი უშუალოდ ჭრილობაში ჩასასხმელად
- ◆ სისხლდენის შესაჩერებლად მოახდინეთ გენოლა ჭრილობაზე თითებით ან მტევნით. სასურველია, ჭრილობა წინასწარ დაფაროთ სუფთა საფენით
- ◆ კიდურზე ჭრილობის შემთხვევაში, დაზიანებული კიდური აწიეთ გულის დონეზე გემოთ
- ◆ ჭრილობაზე დადებული სუფთა საფენის გემოთ დაადეთ დამწოლი ნახვევი (ჭრილობაზე ლოკალურად სქლად დადებული სახვევი)
- ◆ დაადეთ ლახტი. ლახტის გამოიყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამწოლი ნახვევით ვერ მოხდა არტერიული სისხლდენის შეჩერება (ლახტის დადებისას აუცილებელია დააფიქსიროთ ლახტის დადების დრო)

გახსოვდეთ! განსაკუთრებით საშიშია არტერიული სისხლდენა, რადგან ადამიანი სწრაფად კარგავს დიდი რაოდენობით სისხლს და საჭიროებს მყისიერ დახმარებას.



ვიღველადი
სამედიცინო
დახმარება



მონამვლა

მონამვლა - ეს არის პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ორგანიზმში შხამის შეღწევის შემთხვევაში. მომნამლავი ნივთიერების (შხამის) როლში შეიძლება აღმოჩნდეს პრაქტიკულად ნებისმიერი ქიმიური ნივთიერება, რომელსაც ორგანიზმში გარკვეული რაოდენობით მოხვედრისას შეუძლია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების ფუნქციის მოშლა.

- ◆ დათვალაირეთ შემთხვევის ადგილი
- ◆ დროულად გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა
- ◆ შეამოწმეთ ცნობიერების დონე და ჩაატარეთ სუნთქვისა და ცირკულაციის კონტროლი
- ◆ თუ მომნამლავი ნივთიერება მოხვდა ორგანიზმში კანის ზედაპირიდან, ჩამობანეთ წყლით დაზიანებული არე
- ◆ დაუყოვნებლივ გადაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე, უსაფრთხო ადგილას.

ნახშირჟანგით (CO) მონამვლა

ნახშირჟანგით მონამვლა საკმაოდ ხშირია უკანასკნელ წლებში. ნახშირჟანგი გამოიყოფა

და ნებისმიერი საწვავის წვის შედეგად. იგი უსუნო და უფერო მომნამლავი გაზია, რომლის მალალმა კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი რამდენიმე წუთში. ნახშირჟანგის დაბალი კონცენტრაცია იწვევს:

- მცირედ გამოხატულ თავის ტკივილს


- გულისრევის შეგრძნებას

- სუნთქვის შესუსტებას

ეს სიმპტომები შეიძლება შეცდომით მიიჩნიონ გრიპის, საკვებით მონამვლის ან სხვა დაავადების გამოვლინებად და არც კი იფიქრონ ნახშირჟანგით გამოწვეულ მონამვლაზე. ნახშირჟანგის ზომიერ კონცენტრაციას შეუძლია გამოიწვიოს ძლიერი თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევა, გონების დაკარგვა, ცნობიერების დონის შეცვლა.

ნახშირჟანგით მონამვლის დროს:

- ◆ სასწრაფოდ გაანიავეთ ოთახი, გააღეთ ოთახის კარები და ფანჯრები
- ◆ გამორთეთ საწვავზე მომუშავე ნებისმიერი მოწყობილობა და დატოვეთ სახლი
- ◆ დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა
- ◆ თუ არის საშუალება, დაზარალებულს მიაწოდეთ კონცენტრირებული ჟანგბადი



5

ამინდით გამოწვეული დაზიანებები (ჰიპერთერმია, ჰიპოთერმია)

ადამიანის ორგანიზმზე მალალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად შეიძლება განვითარდეს ჰიპერთერმია ანუ სხეულის ზოგადი ტემპერატურის მომატება. ჰიპერთერმიის ერთ-ერთი სახეა მზის დაკვრა, რომელიც ვითარდება დიდი ხნის განმავლობაში მზეზე ყოფნისას. ჰიპერთერმიის დროს დიდი რაოდენობით გამოიყოფა ოფლი და ორგანიზმიდან იკარგება სითხე, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

ჰიპერთერმიის დროს:

- ◆ გადაიყვანეთ დაზარალებული ჩრდილში, გრილ ადგილას
- ◆ დააწვინეთ ჰორიზონტალურ პოზიციაში
- ◆ დაიწყეთ დაზარალებულის გაგრილება, ნებისმიერი საშუალებით (ვენტილიატორით, გარემოს ტემპერატურის წყლით)
- ◆ მიეცით დაზარალებულს ცივი წყალი დასალევად
- ◆ გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა

ადამიანის ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებისას ვითარდება გადაციება ანუ ჰიპოთერმია. ჰიპოთერმიაზე მიუთითებენ მაშინ, როდესაც სხეულის ტემპერატურა ქვეითდება 35°C-მდე და უფრო მეტად. ჰიპოთერმია წყალში ვითარდება 25-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ჰაერზე ყოფნისას. ჰიპოთერმია უფრო სწრაფად უვითარდებათ ბავშვებსა და მოხუცებს!

ჰიპოთერმიის დროს:

- ◆ გადაიყვანეთ დაზარალებული ცივი გარემოდან თბილ გარემოში
- ◆ დროულად გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა
- ◆ თუ დაზარალებულის ტანსაცმელი სველია, ფრთხილად გახადეთ, გაამშრალეთ დაზარალებული და შეახვიეთ თბილ ქსოვილში
- ◆ არ მისცეთ დაზარალებულს სიარულისა და მოძრაობის უფლება
- ◆ მისი გადაყვანისას იმოქმედეთ ძალიან ნელა, რადგან მკვეთრი მოძრაობისას ჰიპოთერმიის დროს შეიძლება განვითარდეს გულის გაჩერება



მოყინვის დროს:

- ◆ სხეულის მოყინული ნაწილებიდან ძალიან ფრთხილად მოაცილეთ ყველა ნივთი (ხელთათმანები, სამკაულები, ფეხსაცმელი, წინდა და სხვა)
- ◆ გაათბეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი თქვენი ხელებით
- ◆ თუ მოყინულ არეს სწრაფად არ უბრუნდება ნორმალური ფერი, მოათავსეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი თბილ ნყალში, შემდეგ გაამშრალეთ და დაადეთ არამჭიდრო ნახვევი
- ◆ თუ მოყინულ ადგილებზე განვითარდა ბუშტუკები, არ დაარღვიოთ მათი მთლიანობა

- ◆ ასწიეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი ზემოთ: ეს შეამცირებს შეშუპებასა და ტკივილს
- ◆ მოყინვის დროს არ შეიძლება მოყინული ნაწილის დაგეღვა/მასაჟი, ამით შეიძლება გააღრმავოთ დაზიანება
- ◆ არ შეიძლება მოყინული ადგილის სწრაფი გათბობა, ამიტომ არ დაადოთ მოყინულ მიდამოს სათბური, ბოთლები ცხელი წყლით
- ◆ არ დასვათ დაზარალებული სითბოს წყაროსთან ან ცეცხლთან ძალიან ახლოს
- ◆ დაზარალებულს შეუძლია დალიოს თბილი არაალკოჰოლური სასმელი



უსაფრთხოების ზომები სხეულის დაზიანების მქონე ადამიანის გადაყვანის დროს

- ◆ დაზარალებული მოათავსეთ სამედიცინო ფარზე ან მის ალტერნატიულ საშუალებებზე
- ◆ უზრუნველყავით მისი სხეულის ფიქსაცია ხელმისაწვდომი საშუალებებით (თოკი, ქამარი და სხვა)
- ◆ მოახდინეთ კისრის ფიქსაცია და რაც შეიძლება დროულად გადაიყვანეთ კლინიკაში



**უსაფრთხო მართვისა და
პირველადი სამედიცინო დახმარების
საფუძვლები**

2 0 1 8

ქლიერი მუნიციპალიტეტი

ნარჩენების უკეთ მართვისთვის



GEORGIA SOLID WASTE MANAGEMENT PROJECT
Stakeholder Participation Programme and Assistance to Develop Municipal Waste
Management Plans and Implement the ESAP

საქართველოს მუნიციპალური ნარჩენების მართვა
დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამა და
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავებასა და გარემოსდაცვითი და
სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელებაში დახმარება